


ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზით, საქართველოს რეალური მშპ-ის ზრდა 2025 წელს ბაზისურ სცენარში 5.9% იქნება

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2025 წლის პირველი და მეორე კვარტლებისთვის. აქ წარმოდგენილია ამ თვის მთავარი მიგნებები.

### მთავარი მიგნებები:

- საქსტატმა გამოაქვეყნა 2025 წლის თებერვლის რეალური მშპ-ის ზრდის წინასწარი შეფასება, რომელიც 7.7%-ს შეადგენს.
- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა 2025 წლის პირველ კვარტალში 8.7%-ით, მეორე კვარტალში კი 7.3%-ით გაიზრდება.
- თებერვლის მონაცემების საფუძველზე, წლიური ზრდა 2025 წელს ცუდი სცენარის შემთხვევაში 4.1% იქნება, საუკეთესო და საშუალო სცენარის შემთხვევაში კი – 6.8%. ჩვენი საშუალო სცენარით (ბოლო ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის საფუძველზე), რეალური მშპ 5.9%-ით გაიზრდება.

## ცვლადები, რომლებიც გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდის პროგნოზზე თებერვლის მონაცემების საფუძველზე:

**ეროვნული და უცხოური ვალუტის დეპოზიტები.** პროგნოზზე ზომიერი გავლენის მქონე ცვლადების პირველი ჯგუფი ეხება კომერციულ ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის დეპოზიტებს. ეროვნული ვალუტის დეპოზიტების თითქმის ყველა მთავარმა კატეგორიამ წლიური ზრდა აჩვენა. კერძოდ, ეროვნული ვალუტის მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 4.4%-ით წლიურად, ხოლო ვადიანი დეპოზიტები – 21.4%-ით წლიურად. შედეგად, სულ ეროვნული ვალუტის დეპოზიტები წლიურად 7.7%-ით გაიზარდა. თუმცა მიმდინარე ანგარიში წინა წელთან შედარებით 12.5%-ით შემცირდა. *საერთო ჯამში, ამ ფაქტორებმა დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.*

**უცხოური ვალუტის დეპოზიტების საერთო ოდენობა 21.4%-ით გაიზარდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით.** იმავე პერიოდში, უცხოური ვალუტის მიმდინარე ანგარიშები წლიურად 10.7%-ით გაიზარდა, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები – 16.5%-ით. გარდა ამისა, უცხოური ვალუტის ვადიანი დეპოზიტები წლიურ ჭრილში მნიშვნელოვნად, 33.5%-ით გაიზარდა. *თუმცა, ჩვენი მოდელის მიხედვით, უცხოური ვალუტის დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს მაინც ჰქონდათ უარყოფითი წვლილი რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზში.*

**საქონლით ვაჭრობა.** თებერვალში საქართველოს ექსპორტი წლიურად 7.1%-ით შემცირდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ახალი ყურძნის ღვინის (შემცირდა 44.6%-ით წლიურად) და დენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტიანი სასმელების, ლიქიორების და სხვა სპირტიანი სასმელების ექსპორტის შემცირებით (შემცირდა 31.7%-ით წლიურად). ამ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 3.9%-ით შემცირდა. შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 1.8%-ით შემცირდა და დაახლოებით 704 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

**სამომხმარებლო კრედიტი.** თებერვალში კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტის მთლიანი მოცულობა წლიურად 27.3%-ით გაიზარდა, რაც მყარ საკრედიტო აქტივობაზე მიუთითებს. მოკლევადიანი სამომხმარებლო კრედიტი, მკვეთრად, წლიურად 45.4%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო როგორც ეროვნული (+34%), ისე უცხოური ვალუტის (+74.3%) სესხების მნიშვნელოვანი ზრდით. გარდა ამისა, კომერციული ბანკების მიერ გაცემული გრძელვადიანი სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა წლიურად 26.8%-ით გაიზარდა. *სამომხმარებლო საკრედიტო აქტივობის ასეთი ზრდა სესხებისა და ხარჯვის უფრო მაღალ შესაძლებლობებზე მიუთითებს, რამაც დადებითად იმოქმედა შიდა მოთხოვნაზე და ნაწილობრივ გაანეიტრალა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მოქმედი ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორი.*

**ინფლაცია.** თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2.4% იყო, რაც სამიხნე 3%-ზე ნაკლებია. სტაბილურმა საერთაშორისო საქონლის ფასებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციური წნეხის შერბილებაში. მოსალოდნელია, რომ ინფლაცია თანდათანობით საშუალოვადიან მიზანთან შეუსაბამდება. მიუხედავად ამისა, გლობალურ ბაზარზე ნავთობის ფასები

(Euro Brent Spot Price) შემცირდა 9.6%-ით წლიურ ბაზაზე. საერთო ჯამში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებულ ცვლადებს ჰქონდათ უარყოფითი გავლენა მშპ-ის პროგნოზზე.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.